

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

“საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს კანონმდებლობაში სახელმწიფო ბაჟის განაწილვადებით გადახდის ინსტიტუტის დამკვიდრებამ და მისმა დახვეწამ.

ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივია მიზნად ისახავს სოციალური დაცვის გარანტიების მიცემას სასამართლო პროცესში მონაწილე იმ მხარეთათვის, რომლებიც ვალდებულნი არიან აანაზღაურონ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯები, მაგრამ არ გააჩნიათ ამის შესაძლებლობა პირადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. მოქალაქეთა ეს კატეგორია საჭიროებს პროცესუალური თვალსაზრისით დამატებით გარანტიებს. მზგავსი რეგულირების მიზანია სახელმწიფოს მხრიდან სოციალურად დაუცველი ფენისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ მოქალაქეთა ეს ნაწილი არ დარჩეს სამართლებრივი დაცვის გარეშე.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის” 48-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებს ეძლევათ უფლება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა მოახდინონ განაწილვადებით მათი ქონებრივი მდგომარეობისა და ყოველთვიური შემოსავლების შესაბამისად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა.) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ.) სახელმწიფოს ახლი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს მიმართ ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება იქონიებს დადებით ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტით დგინდება ბაჟის გადახდის ახალი პრინციპი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა.) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ.) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტის მიღებით არ ირღვევა საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები.

გ.გ.) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ.) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა.) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ.) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ.) კანონპროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორია ფრაქცია “მრეწველები”-ს თავმჯდომარე: ზურაბ ტყემალაძე.

დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია ფრაქცია “მრეწველები”